საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 240 2025 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – ფრინველის ხორცის მარკეტინგული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №340 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – ფრინველის ხორცის მარკეტინგული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №340 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/07/2019, 300160070.10.003.021358) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების:

ა) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 4.** დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – ფრინველის ხორცის მარკეტინგული მოთხოვნების“ მე-10 მუხლი და მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, დანართ №4-ის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი,

დანართ №6-ის მე-6 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტები და დანართ №7-ის მე-2 მუხლის მე-2-მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2030 წლის 1 იანვრიდან.";

ბ) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 6.** დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – ფრინველის ხორცის მარკეტინგული მოთხოვნების" მე-19 მუხლი ძალაშია 2030 წლის 1 იანვრამდე.".

2. დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – ფრინველის ხორცის მარკეტინგული მოთხოვნების" მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის დროს, წყლის შემცველობის შემოწმებისას, იმპორტირებული პროდუქტი არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართ №4-ითა და დანართ №5-ით, ხოლო მე-18 მუხლით განსაზღვრული ფრინველის ნაჭრების – დანართ №6-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შემოსავლების სამსახურმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ტვირთის ექსპორტიორ ქვეყანაში უკან დაბრუნების შესახებ ან ბიზნესოპერატორს მისცეს მიკვლევადობის უზრუნველყოფით ასეთი პროდუქტის მხოლოდ წარმოებაში ნედლეულად გამოყენების უფლება.".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**